# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველ-დღიური გამოცემა. — ხუთშაბათი, 31 აგვისტო 1900 წ. — № 1225

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.


# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**28 აგვისტო**

**შანხაი.** ამბობენ, რომ ბუხუანის მართველმა უცბად მოსპო ხანკოუში მომხდარი აჯანყება.

**ლონდონი.** ფიქსბურგიდან 24 აგვისტოს დეპეშით იტყობინებიან, რომ ინგლისელ ჯარებმა თავი დაანებეს ბეთლემს, ფურიესბურგს, სენეკალს და ლედიბრანდს, და ბურებმა მაშინვე დაიკავეს ეს ქალაქები.

**ჰონკონგი.** იტყობინებინებიან, ვითომც გენერალ გეზლის მოწერილობა გამოეგზავნოს აქ, ნუ გზავნით ჯარებს პეკინშიო.

**ვენა.** იტყობინებიან, რომ ახალი არჩევნები დაიწყება 21 ნოემბერს და გათავდება 1901 წლის 2 იანვარს.

**კელნი.** ბერლინიდან იტყობინებიან 28 აგვისტოს, რომ, როგორც შანჰაიში მყოფ იაპონიის წარმომადგენელს განუცხადებია თავის ამხანაგთათვის, იაპონიაც მიიღებს მონაწილეობას შანჰაის დაკავებაში. ხმელეთის ჯარის მოსვლამდე, ნაპირზე გადმოიყვანენ 600 იაპონელ ზღვაოსანს.

**შანხაი.** ინგლისელებმა, ჩინელების მხრივ წინააღმდეგობის გაუწეველად, დაიკავეს ფონტოი. რუსებმა და იაპონელებმა ოც მილზე შემოიარეს პეკინის მიდამოები და არსად არ შეხვედრიან „მოკრივეებს“. ტელეგრაფის მავთულებს, პეკინიდან ზღვის ნაპირამდე გაყვანილთ, ყოველ დღე შლიან „მოკრივენი“. ყველა დეპეშები, გარდა რუსების და იაპონელების დეპეშებისა, იგზავნებოდენ ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ გაყვანილ ტელეგრაფით.

**ნიუიორკი.** როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, შეერთებულ შტატებს სურთ გაიყვანონ თავიანთი ჯარები პეკინიდან, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ მოკავშირეთა შორის თანხმობა შეუძლებელია რუსეთის წინადადების შემდეგ. გაზეთი „ტრიბუნ“-ი კი, რომელიც ოფიციალურ წრეებთან ახლო დგას, ამბობს, რომ ამერიკის ცდა, ერთობა ჩამოაგდოს მოკავშირეთა შორის, თავის მიზანს მიაღწევსო. ამერიკის კომბინაციაა, დარჩეს პეკინში საელჩოების დარაჯად 1000 კაცი, პეკინის კედლებ გარედ 2400 პირველების მისაშველებლად საჭიროების დროს, და 20,000 კაცი ჩინეთის სხვა ადგილებში.

**ნიუ-იორკი.** თუ კონგრესმა ვერ წარმოადგინა პეკინში დარჩენის საჭიროების უკეთესი საბუთები, ვიდრე აქამდე წარმოუდგენია, მას ბრძანება მიუვა, დაუყოვნებლივ გადაიტანოს საელჩო შანჰაიში. ჩაფფის ჯარები გააცილებენ ელჩს ტაკუმდე, იქედან კი მას წაიყვანს ადმირალი რემეი. ამერიკის ჯარი დარჩება ჩინეთში არა უგვიანეს 19 სექტემბრისა.

**პეკინი.** ამერიკისა, ინგლისისა, რუსეთისა და იაპონიის ჯარების უფროსებმა გააკრეს ქალაქში განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ დაიცავენ წესიერებას, ჰპირდებიან მცხოვრებლებს მფარველობას და ურჩევენ მათ, რომ დაუბრუნდნენ თავიანთ საქმეებს. მოელიან, რომ ეს განცხადება მცხოვრებლებში ახალ წესისადმი ნდობას გამოიწვევს. ქუჩებში ჯერაც არავინ არის. მცხოვრებლებს სურსათი შემოაკლდათ, რადგანაც სოფლებიდან არაფერი შემოდის.

**გაუსტონი.** ტეხასის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება, რომ გუშინ საშინელი ქარიშხალი იყო. დაიღუპა 3,000-მდე კაცი, 4,000 სახლი ნანგრევებს წარმოადგენენ. ნაპირის საწყობები და გემების ფარდულები დაინგრნენ. ნავთ-სადგურში მდგარი იალქნიანი გემები თითქმის ყველანი დაიღუპნენ. ქალაქი იალვინი, რომელიც გალვესტონიდან 200 მილის მანძილზე მდებარეობს, სრულებით დაინგრა.

**შანხაი.** იუნანის მანჯურიელი მმართველი გამოვიდა კვეიჩეოუდან დიდის ჯარით 23 აგვისტოს და ჩრდილოეთისაკენ წავიდა, რათა დახმარება აღმოუჩინოს იმპერატორს.

**პეკინი.** იაპონელებმა გამოიყვანეს თავიანთი ჯარები საზაფხულო სასახლიდან, რადგანაც რუსებმა დაამტკიცეს, რომ იაპონელების მოსვლამდე, რუსის ყაზახებმა დაიკავეს ეს სასახლე. ეხლა სასახლე რუსების ხელშია.

**29 აგვისტო**

**ვაშინგტონი.** ჩაფფი იტყობინება პეკინიდან 22 აგვისტოს: „თან და თან მეტია იმის ნიშნები, რომ ჯერ კიდევ დიდხანს არ მოხერხდება დიპლომატიურ დამოუკიდებლობის განახლება; სულ მოკლე ხანში რუსეთის საელჩო ტიანცზინში გადადის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩინეთის მთავრობა არ დაბრუნდება, სანამ პეკინში უცხოელი ჯარები იქნებიან, და თუ ეს მართალია, ჩვენი საელჩო ვერ შეასრულებს ვერც ერთ დიპლომატიურ მინდობილებას. ჩემის აზრით, პეკინი უნდა დარჩეს შეერთებულ ჯარების ბანაკად, სანამ სხვა შესაფერი ადგილი არ მოუნახავთ.“

**ლონდონი.** გენ. გეზლი დეპეშით იტყობინება 20 აგვისტოს: „ჩვენ დავიკავეთ სადგური სუნტა და რკინის გზის ხიდი ლუგიუციაო; ამ გვარად ჩვენ ხელშია ეხლა გზა პაოტანფუსაკენ.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ ცნობებით, ლიხუნჩანგმა წარუდგინა მოკავშირეებს თავის მინდობილების დოკუმენტები; დოკუმენტები მიცემულია იმპერატორის სასახლისაგან და მათი სინამდვილის უარყოფა შეუძლებელი უნდა იყოს.

**ვაშინგტონი.** ვუტინფანმა გადასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს იმპერატორის ბრძანება, ბოძებული ორი კვირის წინეთ. ლიხუნჩანგს უფლება ეძლევა სამუდამოდ ბოლო მოუღოს განხეთქილებას და თავის მხრივ, იმპერატორის დაუკითხავად წარუდგინოს მოკავშირეებს წინადადებანი. ეს ბრძანება სრულებით არღვევს აზრს, ვითომ ლიხუნჩანგს უფლება არ ჰქონდეს მოლაპარაკება გამართოს სახელმწიფოებთან.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება ბელფასტიდან 27 აგვისტოს: „ფრენჩი წამოვიდა კაროლინიდან და გზაზე შესამჩნევი წინააღმდეგობა შეხვდა, მაგრამ თანდა-თან წაართვა მტერს სამი პოზიცია, რომელთაგან ერთი იერიშით აიღო. ჩვენი ზარალი უმნიშვნელო უნდა იყოს. ფრენჩმა განაგრძო თავისი გზა ბარბერტონისაკენ. გამილტონი იტყობინება,

რომ ბულლერმა იერიში მიიტანა გუშინ დილით მტრის პოზიციაზე, რომელიც მდებარეობდა 1500 ფუტის სიმაღლე მთა გრეხილზე-რომლის უშორესი პუნკტი სპიცკოპია. შემოსავლელი გზა მეტად ძნელი გასავლელია, ამიტომ ქვე, ითმა ჯარმა პოზიცია იერიშით აიღო. მტერმა უკან დაიხია ვიწრო ბილიკით; ზარალი მისი დიდია. ზარალი კიდევ უფრო მეტი იქმნებოდა, რომ სქელ ბურუსს არ დაეფარა იგი. ჩვენი ზარალია 13 მოკლული და 25 დაჭრილი“.

**იოჰანესბურგი.** გაზეთები იტყობინებიან, რომ კრიუგერი და შტეინი დელაგოას ნავთ-სადგურში გაიქცნენ.

**30 აგვისტოს**

**ჰააგა.** საერთაშორისო მშვიდობიანობის კონფერენციის უკანასკნელ კრებაზე, როცა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გადასცეს ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრს ხელმოწერილი ხელშეკრულებაა და განცხადებანი, რუსეთის იმპერატორს გაეგზავნა დეპეშა. მისმა უდიდებულესობამ პასუხად გარეშე საქმეთა მინისტრს ბოფფს მისწერა დეპეშა და გულითადი მადლობა გარდაუხადა. დეპეშა ასე თავდება: „ღმერთსა ვთხოვ, რომ ის ნაღვაწი, რომელიც შექმნა კონფერენციის წევრთა გულ-მხურვალე მეცადინეობამ, დაედოს საფუძვლად საერთო მშვიდობიანობას, თუნდ შორს მომავალში განხორციელებულს, მიზანს—ყოველი ქრისტიანულ ცივილიზაციისას.

**ტაკუ.** ხვალ მიდის პაოტინფუში ექსპედიცია შემდგარი ორ ინგლისური ცხენოსან პოლკისა, ერთ ინგლისურივე არტირელიის ბატარეისა, 300 ინგლისელი ქვეითა ჯარის კაცისა, 1000 იტალიელთა, 300 იაპონელთა და 300 ან 500 რუსის ჯარის კაცთაგან.

ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ამერიკელები.

**პრეტორია.** ბადენ-პაუელი დაინიშნა ტრანსვაალში პოლიციის უფროსად. ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ პიტერმარიცბურგიდან, რომ ბურებმა დაშალეს ხიდი კლიპრივერის სამხრეთით და ამის მეოხებით ხელთ იგდეს მატარებელიო.

**ლონდონი.** კუმასსიდან იტყობინებიან 28 აგვისტოს, რომ კაპიტანი ბენსონი 3000 მკვიდრი მცხოვრებით დაეცა 16 აგვისტოს ოპესუს, მაგრამ დამარცხებული და მოკლულ იქმნა თვით.

**კონსტანტინეპოლი.** ამბობენ, რომ აქ მოკლე ხანში მოელიან ბოლგარიის თავადსა.

სპარსეთის საელჩოს ოფიციალურად აცნობეს, რომ შაჰი წამოვა კონსტანტინეპოლს 14 ენკენისთვეს.

**შანჰაი.** ნამდვილად შეიტყეს, რომ უკანასკნელ უწესოების დროს მოკლულ იქმნა 56 მისიონერი, სახელდობრ 34 ინგლისელი და 22 ამერიკელი; ფიქრობენ, რომ კიდევ უნდა იყოს მოკლული 37 მისიონერი ტაიუენფუში. სიებიდან სჩანს, რომ აკლია 109 ინგლისელი და 61 ამერიკელი. კათოლიკეთა მოკლულთა რიცხვი ნამდვილად არ იციან; მაგრამ მოკლულ იქმნენ ბევრი ფრანგის მღვდელი და დანი მოწყალებისა. ზოგნი ამათგანი დახოცილ იქმნენ იმ მხარეზედ, სადაც რუსები ომობენ. დაუხოციათ აგრეთვე შვეციის და დანიის პროტესტანტები. ჩინელთ-ქრისტიანთაც ისევ სდევნიან. ყველა მხრიდან ჩინეთის დედოფალს მოახსენებენ მადლობას, რომ ის მალე გაანთავისუფლებს ქვეყანას უცხოელთაგან; შუაგულ ქვეყნიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, რომ გარდა უცხოელ ჯარისაგან დაჭერილ ადგილებისა, დანარჩენი ჩინეთის ხალხს ჰგონია, რომ დედოფალმა დიდად გაიმარჯვა და განდევნა უცხოელნი ჩინეთიდან.

**ლონდონი.** რობერტსის დღევანდელი დაწვრილებითი დეპეშიდანა სჩანს, რომ რობერტს უმთავრესი სადგომი თავისი ჯარისა გადაუტანია ბელფასტიდან პრეტორიაში.

**ვაშინგტონი.** ჩინეთის ელჩმა ვუტინფანმა მიიღო ლიხუნ-ჩანგისაგან დეპეშა, რომლით იგი აცნობებს იმპერატორის ბრძანებას მისი, ლიხუნ-ჩანგის, დაუყოვნებლად პეკინში წასვლას პრინც ცზინთან ერთად მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ მოლაპარაკების გამართვის შესახებ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ უეჭველად უნდა მოისპოს ყოველი მიზეზი ომის გამომწვევი. ლიხუნჩანგი თავისი მხრით თხოულობს, რომ სახელმწიფოებმა დახმარება აღმოუჩინონ და გაუადვილონ მას მგზავრობა. უეჭველია ლიხუნჩანგი შანჰაიდან დაუყოვნებლივ გამოვა გემით.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ გაუგია, რომ ჩინეთის იმპერატორის ბრძანებაში, რომლითაც პრინცი ცინი და ლიხუნჩანგი დაინიშნენ რწმუნებულ პირებად ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად, მხოლოდ ეს ორი პირია დასახელებული და სხვა არავინ.

**ვაშინგტონი.** შეერთებული შტატების მთავრობა ლიხუნ-ჩანგის დანიშვნის გამო ამბობს, რომ მას არაფრის თქმა არ შეუძლიან ლიხუნ-ჩანგის რწმუნების შესახებ, მაგრამ იმედი აქვს, რომ ეს რწმუნებანი შეაძლებინებენ ლიხუნჩანგს დაუყოვნებლივ უზრუნველ ჰყოს ამერიკელთა სიცოცხლე და ქონება მთელ ჩინეთის სახელმწიფოში.

**პეტერბურგის ბირჟა 28 აგვისტოს**

| | მყიდვე-ლიანი. | გამყიდ-ველიანი | გაყიდუ-ლიანი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 325 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 277¼ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . | — | — | 210¼ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | 87¾ | — | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 97 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86½ | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 4% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | გ. 8½ | კ. |
| სუკი . . . . . | » | — 15 | კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — 8½ | კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 | კ. |
| » კამეჩისა » » | » | — 5 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I | ხარ. | 1 | გ. 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » 5 | « |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » 6 | » |
| » » | II | » | » | » 4 | « |

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ. | |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » | |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » | |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ.
„ ფშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10%, შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი—მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კრუტის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი ა. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროვსკის ტიზენჰაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. ბედევახიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი ბულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

გამომც. გ. გუნია